ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3118161

ნომერი: AR1480550

თარიღი : 21.02.2017

გაცემის თარიღი : 24.02.2017

გაცნობის თარიღი : 24.02.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერისთავი , N 4 , (ნაკვეთი 02/022) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავითი ნიქაბაძე პ/ნ 53001001231
- თბილისი თემქა XI მ/რ I კვ. კორ. 4 ბ. 42

ორგანიზაცია:
- შპს "ჯი ი სი" კოდი: 400010117

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

- ვინაიდან სამსახურის მიერ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და წარმოდგენილი ფოტომონტაჟის შესაბამისად, (კერძოდ ვიზუალით და თქვენს მიერ "მოთხოვნის ტექსტში" დაფიქსირებული მოთხოვნით) საპროექტო ღობე წარმოადგენს მშენებლობის პერიოდისათვის განკუთვნილ შემომსაზღვრელ ღობეს, აღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო დროებითი ღობე გათვალისწინებული უნდა იყოს არქიტექტურული პროექტის მშენებლობის ორგანიზაციის კალენდარულ გრაფიკში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.